„ჩინებური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველაო“

კოლხეთი

გამოდის 1923 წლის 1 მაისიდან

სენაკის მუნიციპალიტეტის თავისუფალი გაზეთი

2024 წელი ● №21-22 (9587-88) ● 1-30 ნოემბერი ● ფასი 1 ლარი და 40 თეთრი

მუნიციპალიტეტის მერიაში

ნარჩინებულ მოსწავლეებს კომპიუტერები გადაეცათ

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პროგრამის - ,,ჩემი პირველი კომპიუტერი" ფარგლებში, დიმიტრი ჯაიანის სახელობის მოსწავლე-ახალგაზრდობის და კულტურის ცენტრში, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, საგანმანათლებლო რესურსცენტრისა და მასთან არსებული მასწავლებელთა ასოციაციის - ,,განათლების ელჩები" ორგანიზებით, 2023-2024 სასწავლო წლის საბაზო საფეხურის წარჩინებული სენაკელი მოსწავლეები, პერსონალური კომპიუტერებით დაჯილდოვდნენ. მოსწავლეებს პერსონალური კომპიუტერები გადასცეს: სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა, ვახტანგ გადელიამ, საკრებულოს თავმჯდომარემ, საბა ოდიშარიამ, მერის მოადგილემ, ნანა ზარანდიამ, სენაკის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა, ელისო შურღაიამ. პროგრამის მიზანია მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება და ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სწავლების მეთოდების გაძლიერება.

თანამშრომლობის მემორანდუმი

სამხედრო მოსამსახურეების დაფასებისა და მათზე ზრუნვის პოლიტიკის ფარგლებში, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრს შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, რომელსაც ხელი თავდაცვის მინისტრის მოადგილემ, გრიგოლ გიორგაძემ და სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრის დირექტორმა, ვეფხვია ვეფხვაძემ მოაწერეს

დღეიდან, თავდაცვის ძალების სამხედრო მოსამსახურეებსა და თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო ოფისის თანამშრომლებს, სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრი, სანდრო მრევლიშვილის სახელობის თბილისის მუნიციპალური პროფესიული თეატრი, რუსთავის გიგა ლორთქიფანიძის სახელობის დრამატული თეატრი, გურჯაანის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი, ფრიდონ სულაბერიძის ცეკვის აკადემია და საჭიდაო კლუბი "გორდა", მაქსიმალურად ხელსაყრელ პირობებს შესთავაზებენ.

შეხვედრა სენაკელ ჩემპიონებთან

სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია და საკრებულოს თავმჯდომარე, საბა ოდიშარია, ტაეკვანდოს აზიის ჩემპიონატში (ICTF) გამარჯვებულ სპორტსმენებს, სენაკელ ჩემპიონებს და მათ მწვრთნელს, საქართველოს ტაეკვანდოს ICTF ფედერაციის პრეზიდენტს, ლაშა ჯოლოგუას შეხვდნენ, მოპოვებული გამარჯვება მიულოცეს და შემდგომი წარმატებები უსურვეს. ოქტომბრის თვეში, ქალაქ ტაშკენტში, გაიმართა აზიის ჩემპიონატი ტაეკვონდოში (ICTF), რომელშიც საქართველოს სახელით, ჩვენი მუნიციპალიტეტიდან, სამმა სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა და სამივემ წარმატებულად იასპარეზა - პირველი ადგილი მოიპოვეს. ბავშვთა ასაკობრივ კატეგორიაში ჩემპიონები გახდნენ: ლუკა სიჭინავა, იოანე გოგოლიშვილი და ნიკოლოზ გაბედავა. ,,საამაყოა, რომ ჩვენს ქალაქს კიდევ სამი ჩემპიონი ჰყავს, ამჯერად - ტაეკვანდოში. მოპოვებულ გამარჯვებას გულითადად ვულოცავ ლუკა სიჭინავას, იოანე გოგოლიშვილს, ნიკოლოზ გაბედავას და მწვრთნელს, ლაშა ჯოლოგუას. მათ შემდგომ წარმატებებს ვუსურვებ" - განაცხადა შეხვედრისას სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა, ვახტანგ გადელიამ.

ჯანმრთელობის განვითარების ცენტრში

სენაკის მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობის განვითარების ცენტრის სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულებულია.

ამიერიდან ცენტრი, სპეციალური საჭიროებების მქონე მოზარდებს, განახლებულ და კეთილმოწყობილ გარემოში მიიღებს. ცენტრი მზადაა, მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის შესაბამის სტრუქტურებთან აქტიური თანამშრომლობით, მაქსიმალურად შეუწყოს ხელი აუტისტური სპექტრის მოზარდებისთვის თანამედროვე სტანდარტების სერვისების მიწოდებას.

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, საბა ოდიშარია, საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ინგა ქარდავა, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარის მოადგილე, მანანა გვიჩია, მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი, ნატალია ხუბუა, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, ჯანმრთელობის განვითარების ცენტრის დირექტორს, ნინო გვიჩიას და ცენტრის მესვეურებს შეხვდნენ, არსებულ საჭიროებებსა და ამ მიმართულებით დაგეგმილ სამომავლო ხედვებზე ისაუბრეს.

სენაკის მუნიციპალიტეტის მერია, მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული აუტისტური სპექტრის მქონე მოზარდების განვითარების სტიმულირების, სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობის, ბავშვებისა და ოჯახის გაძლიერების მიზნით, 2023 წლიდან ახორციელებს აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის პროგრამას, რომლის მიზანია შემეცნებითი, სოციალურ -ემოციური, სოციალური განვითარების, თვითმოვლისა და დამოუკიდებლად ფუნქციონირების უნარების ჩამოყალიბების ხელშეწყობა.

აღნიშნული პროგრამა თავის მხრივ მოიცავს - საჭიროების შემთხვევაში, მულტიდისციპლინური გუნდის რამდენიმე სპეციალისტის მიერ, ბენეფიციარისთვის ინდივიდუალური განვითარების წლიური გეგმის შესაბამისად, კომპლექსური თერაპიის მიწოდებას.

მიმდინარე წელს, პროგრამის ბიუჯეტი 120 000 ლარამდე გაიზარდა. ამ ეტაპისათვის, პროგრამის ფარგლებში, მომსახურებას 31 მოზარდი იღებს.

ასევე, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარების პროგრამის ფარგლებში, მთელი საბიუჯეტო წლის განმავლობაში, აუტიზმის სპექტრის მქონე მოზარდებისთვის, გათვალისწინებულია ინდივიდუალური ფინანსური დახმარება.

მიმდინარე წლიდან, პროექტის - "საჭიროების მქონე ბავშვებისთვის ADOS -ის კვლევის დანერგვა მუნიციპალიტეტში" ფარგლებში, რისკის მქონე მოზარდებისთვის, მუნიციპალიტეტში, ხელმისაწვდომი გახდა ,,ოქროს სტანდარტად" აღიარებული ADOS -ის კვლევის ადგილზე ჩატარება, დიაგნოზის დროული დასმა და მკურნალობის/რეაბილიტაციის დაწყება.

მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილება

მსოფლიო ჩემპიონი

ალბანეთის დედაქალაქ ტირანაში გაიმართულ 23-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატზე საქართველოს ბერძნულ -რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრებმა ერთი ოქროს, ერთი ვერცხლისა და ოთხი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა და გუნდური მეორე ადგილი დაიკავა. კიდევ ერთხელ გაგვახარა სენაკელმა ფალავანმა, საქართველოს ხუთგზის ჩემპიონმა, ჭაბუკებს შორის ევროპის ორგზის პრიზიორმა, 23 წლამდელთა შორის ევროპის პრიზიორმა, ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა, ახალგაზრდებს შორის მსოფლიოს ვიცე ჩემპიონმა, ევროპის სამგზის ჩემპიონმა, საფრანგეთის გრან-პრის ჩემპიონის ტიტულის მფლობელმა, საერთაშორისო ტურნირების მრავალგზის გამარჯვებულმა, საუკეთესო ახალგაზრდა სპორტსმენისა და 2023 წლის საუკეთესო სპორტსმენის ტიტულების მფლობელმა, გიორგი ჩხიკვაძემ. მან ფინალურ ორთაბრძოლაში სომეხი შანტ ხაჩატრიანი ანგარიშით 3:1 დაამარცხა და მსოფლიო ჩემპიონობა იზეიმა. მანამდე კი გიორგიმ ხორვატიის ქალაქ პორეჩში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე ვერცხლის მედალი მოიპოვა.

ვულოცავთ ჩვენს საამაყო სპორტსმენს და შემდგომ გამარჯვებებს ვუსურვებთ ჩვენი ქალაქისა და ქვეყნის გასახარად.

მაია გერგაია

ეგრისობა – კულტურისა და

12 ოქტომბერს ,,ეგრისობის" სახალხო დღესასწაული ნოქალაქევში არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის, ციხე გოჯის ტერიტორიაზე სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით მოეწყო. ,,ეგრისობა" კულტურისა და ტრადიციების დღესასწაულია, რომელიც ყოველწლიურად ახალი განცდით, ახალი თვალთახედვით, განსხვავებული ნიუანსებით, წელთაღრიცხვათა წიაღში ჩაკირული წარსულის გაცოცხლებით იგეგმება.

სახალხო დღესასწაული შესაძლებლობას აძლევს ხელისუფლებას და ხალხს, ერსა და ბერს, მოხუცსა და ახალგაზრდას ერთად დადგეს ისტორიულ მიწაზე, პატივი მიაგოს გმირულ წარსულს, გულთბილად უმასპინძლოს საპატიო სტუმრებს, საკუთარი თვითმყოფადობის სრული შეგნებით ერთად დაგეგმოს წინსვლის, შენების, განვითარების ცალკეული ნიუანსები.

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების ეთნოგრაფიული კუთხე აცოცხლებდა მეგრულ შემოდგომას, მოსავლის აღება-დაბინავების სცენები, საწნახელი, ქვევრი, ტრადიციული მეგრული სამზარეულო, ელარჯით, სულუგუნით, ხილეულით, ბოსტნეულ-ბაღჩეულით გულუხვად მასპინძლობდა შეკრებილ საზოგადოებას.

მნახველის ყურადღებას იპყრობდა საჯარო სკოლების, ხელოვნების ცენტრის, მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს ახალგაზრდული საბჭოს, მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის, შოთა მესხიას სახელობის ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის სენაკის პროფესიული ცენტრის კუთხეები თემატური ფოტოსტენდებით, ხატვისა და ძერწვის ნიმუშებით, გობელენით, საბავშვო ნაკეთობებით, ცოცხალი ყვავილებისაგან დამზადებული ფიგურებით. სენაკის ტექნოპარკის ახალგაზრდების მიერ ხეზე დაპრინტული ქალაქის ღირსშესანიშნაოებები.

ვფიქრობთ, მიკერძოებული არ ვიქნებით, თუ წარმოდგენილი ფოტოსტენდებიდან გამოვყოფთ მოსწავლე-ახალგზრდობის ცენტრის სტენდს, სადაც განთავსებული იყო გაზეთ ,,კოლხეთის" პუბლიკაცია 1988 წლის 12 ნოემბრის ეგრისობაზე შესატყვისი ფოტომასალით, ასევე ფოტოსურათები უფრო ადრეულ წლებში ჩატარებული სახალხო დღესასწაულებიდან.

მეწარმეების ნინო ქავთარაძის, ვენერა ლიპარტიას, შორენა შონიას, თამარ გელაშვილის, თინათინ კვირტიას, ეკატერინე ხუტკუბიას, ეკატერინე ფარულავას, გურამ კილასონიას, ზაალ დემურიას, რამაზ სიორდიას პროდუქცია ყველის და თაფლის სახეობებით, ხალხური რეწვის ნიმუშებით, მინანქრის, ცვილის ფიგურებით და სხვადასხვა სუვენირებით.

მუზეუმის შესასვლელში მოწყობილი იყო საბავშვო შემეცნებითი და გასართობი ატრაქციები.

სენაკის სპორტის ცენტრის აღსაზრდელების ძალებით გაიმართა შეჯიბრი ჭიდაობის სხვადასხვა სახეობებში.

17 საათზე საზოგადოებას შესაძლებლობა ჰქონდა ენახა თეატრალური კომპოზიცია ,,ეგრისის სამეფო" (რეჟისორი ვახტანგ ნიკოლავა), რომლის წარმოდგენის შემდეგ დაიწყო სენაკის საპატიო მოქალაქეების დააჯილდოება. დაჯილდოებას უძღვებოდა მსახიობი და ტელეწამყვანი გიორგი გასვიანი. ტელეწამყვანობის პარალელურად იგი დღემდე კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სოხუმის დრამატული თეატრის მსახიობია.

აქვე შედგა ქალაქის საიმიჯო კლიპის ,,გულისფერი სენაკის" პრეზენტაცია.

ღონისძიების მსვლელობის პარალელურად ეკრანზე გამოტანილი სლაიდებით დამსწრე საზოგადოება გაეცნო ვახტანგ გადელიას მერობის პერიოდში სენაკის მუნიციპალიტეტში განხორციელებულ და ამჟამად მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებს.

სენაკის საპატიო მოქალაქის წოდება, ქალაქისა და ქვეყნის წინაშე გაწეული განსაკუთრებული დამსახურებისათვის, ხანგრძლივი და წარმატებული პროფესიული საქმიანობისთვის, სხვადასხვა სფეროში მოღვაწე 13 ადამიანს მიენიჭა:

დეკანოზ იოანე კუპრეიშვილს - წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის სენაკის საკათედრო ტაძრის კეთილმოწესეს;

გრიგოლ ბესელიას - შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტის უფროსს, პოლიციის პოლკოვნიკს;

მარინე აბრამიას - კულტურის სფეროს დამსახურებულ მუშაკს;

ნუგზარ ჯოჯუას - დამსახურებულ ექიმს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, ღირსების ორდენის კავალერს;

თინაზი დარასელიას - სკოლამდელი აღზრდის სფეროს დამსახურებულ მუშაკს;

ომარ ძაძამიას - დამსახურებულ ექიმ-ნერვოლოგს;

ირაკლი გოგინავას - ორთოპედ-ტრავმატოლოგს, დასავლეთ საქართველოს სამედიცინო ცენტრის მენჯის ქირურგიის განყოფილების ხელმძღვანელს;

ეკა გაბუნიას - სხვადასხვა წლებში, ადგილობრივი თვითმმართველობის რაიონული გამგეობის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს, სოციალური დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარეს, სენაკის გამგებლის მოადგილეს;

იოსებ მიხელაშვილს - საქართველოს წარმომადგენელს ისრაელში, კოლორიტ სენაკელ ებრაელს;

არმან თოდუას - ქალაქის კოლორიტს;

ნატო გრიგოლიას - დამსახურებულ ექიმ-პედიატრს.

ნინო გეგენავას - დამსახურებულ ექიმ-რადიოლოგს;

ვახტანგ ნიკოლავას - აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის თეატრალური ხელოვნების მაგისტრს, მრავალი საკულტო სპექტაკლის რეჟისორსა და მსახიობს.

საპატიო სენაკელებს მედლები და სიგელები გადასცეს: საქართველოს პარლამენტის წევრმა, სენაკის, ხობის და ფოთის დელეგატმა, გიორგი ხახუბიამ; სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა, ვახტანგ გადელიამ, საკრებულოს თავმჯდომარემ საბა ოდიშარიამ.

საქართველოს პარლამენტის წევრმა, ფოთის, ხობისა და სენაკის დელეგატმა **გიორგი ხახუბიამ** თავის გამოსვლაში მიუთითა, რომ უძველესი ნოქალაქევი და არქეოპოლისი, ზოგადად მრავალსაუკუნოვანი კოლხეთი ქართული სახელმწიფოებრიობის, ქართული კულტურის საფუძველთა საფუძველია. აღნიშნა, რომ მომავალშიც ყველაფერს გააკეთებს, რათა სამეგრელო დარჩეს ერთ-ერთ ყველაზე კოლორიტულ, გამორჩეულ, სულიერ-ზნეობრივად ამაღლებულ მხარედ.

სენაკის მერმა **ვახტანგ გადელიამ** ისაუბრა სახალხო დღესასწაულის მნიშვნელობაზე. ეს არის წარსულისა და აწმყოს სინთეზი, რომელიც შესაძლებლობას გვაძლევს პატივი მივაგოთ გმირ წინაპრებს და მაგალითი მივცეთ ახალგაზრდებს, თუ როგორ ვუფრთხილდებით წინაპართა ტრადიციებს. დღეს ჩვენ საპატიო სენაკელის წოდებას ვანიჭებთ ადამიანებს, რომელთა ბიოგრაფიები გაჯერებულია ქვეყნის სიყვარულით, ვულოცავ ჩვენს თანაქალაქელებს ღირსეულ ჯილდოს, ვუსურვებთ მათ ჯანმრთელობას, მშვიდობიან საქართველოში ცხოვრებას, შემდგომ წარმატებებს-აღნიშნა მან.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ **საბა ოდიშარიამ** აღნიშნა, რომ ისტორია წარმოადგენს ღირებულებათა კომპლექსს. მუნიციპალიტეტს აქვს დიდებული წარსული, რომელიც მომავალმა თაობამ უნდა იცოდეს, რათა ახალგაზრდები წინაპართა იდეებზე აღიზარდონ. სწორედ ასეთი სახალხო დღესასწაული გვაძლევს საშუალებას მოწიწებით მოვეპყრათ წარმატებულ საპატიო სენაკელებს, რომელთა შრომაზე, გმირობასა და სიყვარულის ბალავარზე დგას ქალაქი.

მედიასთან საუბარში თავიანთი აზრი დააფიქსირეს ,,ეგრისობის" მონაწილეებმა და საპატიო სენაკელებმა.

ფოტოებით დღესასწაული

ნუგზარ ჯოჯუა, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი,სენაკის საპატიო მოქალაქე-დღეს ძალიან ბედნიერი ვარ, რადგან ჩემს მშობლიურ ქალაქში ვიმყოფები, ქალაქში, სადაც ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლები გავატარე. 40 წელზე მეტი ვემსახურე სენაკელების, მათ შორის პატარა პაციენტების ჯანდაცვის საპასუხისმგებლო საქმეს. ჩემთვის სენაკიდან, ამ ციხე-გოჯის ქონგურებიდან იწყება სამყარო.

,,ეგრისობას" ვულოცავ ყველა სენაკელს, აქ დამსწრე საზოგადოებას, შემოდგომის ნობათების შემქმნელებს, თითოეული ნახატის, ნაკეთობის შემოქმედ ადამიანებს.

მადლობა იმ ადამიანებს, რომლებმაც მომცეს შესაძლებლობა, გავმხდარიყავი სენაკის საპატიო მოქალაქე.

ეკა გაბუნია, საპატიო მოქალაქე - დიდი პატივია ჩემთვის ჯილდოთა შორის ყველაზე საუკეთესო ჯილდოს მიღება. ყოველთვის მშურდა იმ ადამიანების, რომლებიც ამ საპატიო და სპასუხისმგებლო ჯილდოს ფლობდნენ და დღეს მეც გამიმართლა. სენკი საოცარი ქალაქია, თუ ის შეგიყვარებს ათმაგად დაგასაჩუქრებს ჯილდოთი და სიყვარულით. სენაკი ყველაზე ლამაზი და პრანჭია ქალაქია. მინდა განვაცხადო, რომ ეს არ არის მარტო ჩემი ჯილდო, ეს იმ გუნდის ჯილდოცაა, რომელთანაც ერთად ვმუშაობდი წლების განმავლობაში. მადლობა ბატონ ტარიელ დგებუაძეს, ქალბატონ მანანა ბურსულაიას, აქ დამსწრე ქალბატონებს, რომლებიც გვერდით მედგნენ და მაძლიერებდნენ, აწ განსვენებულ ბატონ ომარ გაბედავას და მრავალ სხვას, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, მშვიდობა და ძლიერება ჩემს სენაკს.

გამორჩეული მადლობა ქალაქის ახალგაზრდა მერს ბატონ ვახტანგ გადელიას, მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველ პირებს და ყველა სენაკელს, რომლებიც ჩემთან ერთად იზიარებენ ამ ტიტულის მიღებით გამოწვეულ სიხარულს.

იოსებ მიხელაშვილი, საპატიო მოქალაქე - ,,ეგრისობას" ვულოცავ ყველა სენაკელს. მიხარია, როცა ასე ერთად შეკრებილ საზოგადოებას ვხედავ. მინდა ერთობა ბროწეულის მარცვლებს შევადარო. თუ ქართველები ერთმანეთის გვერდით მყარად დადგებიან მათ ვერაფერი მოერევა.

მადლობა ქალაქის ხელისუფლებას ამ საპატიო ჯილდოსათვის და ქართველთა და ებრაელთა 26 საუკუნოვან მეგობრობაში კიდევ ერთი ლამაზი ფურცლის ჩაწერისთვის.

მაია იორამიშვილი, ქალთა კამერული ორკესტრის მევიოლინე- აღფრთოვანებული ვარ ამ ეგზოტიკური ადგილით, გარდასულ დროთა სუნთქვა ახლავს თითოეულ ნაგებობას, სამშობლოსათვის აღვლენილ ლოცვას მაგონებს ეკლესია, რომელიც როგორც მითხრეს ორმოცი მოწამის სახელობის ყოფილა. საქართველოს უძლეველობისა და მარადისობის რწმენა გიჩნდება ადამიანს ამ ადგილების დათვალიერებისას. მადლობა სენაკს და სენაკელებს, სახალხო დღესასწაულის ორგანიზატორებს.

ნინო ქავთარაძე, მეწარმე- ,,ეგრისობაზე" წარმოდგენილი მაქვს ,,ნინოსეულის" პროდუქცია: ყველი, ჯემი, ხილფაფები. წინა წლებთან შედარებით გავაფართოვე პროდუქციის წარმოება. მინდა მადლობა გადავუხადო იმ ადამიანებს, რომლებიც იწონებენ ჩემს პროდუქციას და ,,ეგრისობის" დღესასწაული მივულოცო აქ დამსწრე ადამიანებს.

რამაზ სიორდია, მეწარმე - ჩამოვედი ზესტაფონიდან მეუღლესთან ერთად. ვამზადებთ ცვილის ფიგურებს, რომელიც გამოირჩევა სურნელით. იმედი მაქვს, რომ ღონისძიების მონაწილეებს მოეწონებათ ჩემი ნახელავი. მომწონს ასეთი დღესასწაულები, რომლებსაც შეუძლიათ ერთმანეთს გააცნონ თავიანთი შემოქმედება, დაანახონ ყოფითი თავისებურებანი, სტუმარ-მასპინძლობის ტრადიციები.

შორენა შონია, მეწარმე - ჩამოვედი საზღვრისპირა სოფელ ფახულანიდან (წალენჯიხის მუნიციპალიტეტი). ჩემთვის დიდი პატივია რომ მომეცა საშუალება ამ არაჩვეულებრივი სახალხო დღესასწაულის ,,ეგრისობის" დამსწრე საზოგადოებას ენახა ჩემი ნაწარმი. წარმოდგენილი მაქვს ყველის ნაირსახეობა, როგორც ტრადიციული, ასევე ევროპული სხვადასხვა დანამატებით, რაც ყველს უფრო მრავალფეროვანს ხდის. მაქვს აჯიკა, კაჭაბე, წიწაკის ჯემი, ჩურჩხელები. ვისარგებლებ შემთხვევით და სენაკელებს, მოწვეულ სტუმრებს მივულოცავ ამ ლამაზ დღესასწაულს.

გივი ჩემია, მესხიას სახელობის ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის სენაკის პროფესიული ცენტრის ბაზაზე შექმნილი მეფუტკრეობის მიმართულების ხელმძღვანელი- უპირველესად ყველას ვულოცავ ეგრისობის დღესასწაულს. დღეს წარმოდგენილი გვაქვს თაფლის სამი სახეობა: მაისის, შემოდგომის და ოქროწკეპლის. ასევე გამოფენილია ფიჭა. მიმაჩნია, რომ ასეთი დღესასწაულები ხელს უწყობს მეფუტკრე ფერმერების და თაფლის, როგორც ადამიანის კვებისა და ჯანმრთელობისათვის საჭირო პროდუქციის პოპულარიზაციას.

ანანო გადელია, მეშვიდე საჯარო სკოლის მოსწავლე- მიხარია, რომ სხვებთან ერთად მეც ვღებულობ მონაწილეობას ასეთ დიდ ღონისძიებაში. აქ გამოფენილია ჩვენი და ძველი სენაკის საჯარო სკოლის მოსწავლეთა თექის ფერწერული ნამუშევრები. მე და ჩემი მეგობრები ვამზადებთ სხვადასხვა სახის აქსესუარებს. ჩვენი ხელმძღვანელია ვენერა(მაცაცო) ხახუბია.

ანრი სიჭინავა, კავკასიის უნივერსიტეტის კომპიუტერული მეცნიერების ინგლისურენოვანი ფაკულტეტის სტუდენტი-შთამბეჭდავია შემოდგომის ფერებით გაჯერებული ისტორიული ციხე-გოჯის ტერიტორია. ვფიქრობ, სახალხო დღესასწაულები ხელს უწყობს კულტურული ფასეულობების შენარჩუნებას. სანახაობრივ მხარესთან ერთად წარმოაჩენს რეგიონის წეს-ჩვეულებებს. დღეს აქ ვარ ოჯახთან ერთად, რათა გავიზიარო ჩემი ბებიის ნატო გრიგოლიას სიხარული. მინდა მას მივულოცო სენაკის საპატიო მოქალაქედ არჩევა, ვუსურვო ჯანმრთელობა და ულევი სიხარული. ამასთან ვთვლი ყველა ახალგაზრდამ უნდა ნახოს ეს უმშვენიერესი კომპლექსი-არქეოპოლისი.

საზეიმო გალა კონცერტში მონაწილეობდნენ ქართველი შემსრულებლები: დათუნა სირბილაძე, აჩიკო ნიჟარაძე და საქართველოს ქალთა კამერული ორკესტრი-მაესტრო დავით მაზანაშვილის ხელმძღვანელობით.

,,ეგრისობის" სახალხო დღესასწაულს ესწრებოდნენ: სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის მოვალეობის შემსრულებელი ნინო ვიბლიანი, საქართველოს პარლამენტის წევრი გიორგი გუგუჩია, რწმუნებულის მოადგილეები, რეგიონში შემავალი მუნიციპალიტეტების მერები, სასულიერო პირები, მოწვეული სტუმრები, ცენტრალური და რეგიონალური მედიასაშუალებების ჟურნალისტები, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის, საკრებულოსა და საზოგადოების წარმომადგენლები.

სახალხო დღესასწაული გალა კონცერტითა და ფოიერვერკით დასრულდა.

უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ,,ეგრისობა -24"-ის მომზადება საკმაოდ რთული და შრომატევადი იყო. დიდი ძალისხმევა დასჭირდა ინფრასტრუქტურის შექმნას, ყოველი საჭირო დეტალისათვის თავის ადგილის მიჩენას. ეგრისობის მომზადებაში დიდი წვლილი შეიტანეს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის თითოეულმა თანამშრომელმა, განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდული საქმეების სამსახურის (უფროსი გ. მისაბიშვილი) სპეციალისტებმა, აიპების ხელმძღვანელებმა, სოფლის რწმუნებულებმა, საკრებულოს წევრებმა. ღონისძიებას საერთო ორგანიზებას უწევდა მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ქალბატონი ნანა ზარანდია. ღონისძიების რეჟისურა ეკუთვნის ვახტანგ ნიკოლავას.

ეგრისობის დღესასწაულმა კიდევ ერთხელ გვიჩვენა ქარვისფერი შემოდგომის ბარაქა და ნაყოფიერება.

გაზეთ ,,კოლხეთის" შემოქმედებითი ჯგუფი ულოცავს თითოეულ მონაწილეს, სრულიად სენაკს ,,ეგრისობის" დღესასწაულს. დაე, მოუშლელი იყოს ჩვენი ძირძველი კუთხის კულტურა, გულუხვობა, თვითმყოფადობა, სტუმარ-მასპინძლობის ტრადიციები.

მედეა გაღათურია,
მაია გერგაია

მუნიციპალიტეტის საკრებულოში

2024 წლის 18 ოქტომბერს, გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის სხდომა.

სხდომას საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის თავმჯდომარე ბადრი ხურცია უძღვებოდა.

1. სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ ტურიზმის განვითარების კუთხით 2024 წლის I, II და III კვარტლაში გაწული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენის ცნობად მიღების თაობაზე.

მომხსენებელი მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი მერაბ ჯანაშია.

2.სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საკადასტრო კოდით 44/04.21.806 სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე.

მომხსნებელი საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის თავმჯდომარე ბადრი ხურცია.

***

2024 წლის 21 ოქტომბერს, გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომა.

სხდომას, კომისიის თავმჯდომარე, ირაკლი კალანდარიშვილი უძღვებოდა. დღის წესრიგის მიხედვით გათვალისწინებული იყო ერთი საკითხის განხილვა.

1. მდგრადი განვითარების მიზნების სენაკის მუნიციპალური დოკუმენტის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ირაკლი კალანდარიშვილი.

***

2024 წლის 28 ოქტომბერს, გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა.

დღის წესრიგის მიხედვით გათვალისწინებული იყო ექვსი საკითხის განხილვა.

1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 28 ოქტომბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე საბა ოდიშარია.

2. სენაკის მუნიციპალიტეტის ფოცხოს ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ ლეგოგიე-ნასაჯუში მდებარე ქუჩის სახელდების შესახებ.

მომხსენებელი სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიგა წურწუმია.

3. სენაკის მუნიციპალიტეტის მენჯის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ საგაბესკირიოში მდებარე ქუჩის სახელდების შესახებ.

მომხსენებელი სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიგა წურწუმია.

4. სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საკადასტრო კოდით 44.04.21.806 სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე.

მომხსენებელი სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის თავმჯდომარე ბადრი ხურცია.

5. ა(ა)იპ "სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრი"-ს მიერ 2024 წლის პირველი და მეორე კვარტალში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე.

მომხსენებელი ა(ა)იპ ,,სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრის" დირექტორი ვეფხვია ვეფხვაძე.

6. მდგრადი განვითარების მიზნების სენაკის მუნიციპალური დოკუმენტის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ირაკლი კალანდარიშვილი.

***

2024 წლის 8 ნოემბერს, გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა.

დღის წესრიგის მიხედვით გათვალისწინებული იყო ერთი საკითხის განხილვა.

1. "სენაკის მუნიციპალიტეტის 2024 წლის მესამე კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე.

მომხსენებელი სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ბადრი კალანდარიშვილი, თანამომხსენებელი სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი, დონარა ალანია.

სხდომაზე, დამსწრე წევრების გადაწყეტილებით, სენაკის მუნიციპალიტეტის 2024 წლის მესამე კვარტლის ბიუჯეტის ანგარიში დამაკმაყოფილებლად შეფასდა.

***

2024 წლის 18 ნოემბერს, გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომას ხელმძღვანელობდა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ინგა ქარდავა.

დღის წესრიგის მიხედვით გათვალისწინებული იყო ერთი საკითხის განხილვა.

1. ა.(ა).ი.პ. ,,სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის" მიერ 2024 წლის პირველი და მეორე კვარტალში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე.

მომხსენებელი ა.(ა).ი.პ. ,,სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის" დირექტორის მ/შ ნათია ეჯიბია.

კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრების გადაწყეტილებით, ა.(ა).ი.პ. ,,სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის" მიერ 2024 წლის პირველი და მეორე კვარტალში გაწეული საქმიანობა დადებითად შეფასდა.

ალექსი დემურია,
საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი
საინფორმაციო საკითხებში

ფ ო ტ ო კ ო ლ ა ჟ ი

მყინვარწვერზე სენაკის დროშა ფრიალებს

28 სექტემბერს, კავკასიონის ერთერთ უმაღლეს მწვერვალზე, მყინვარწვერზე, ზღვის დონიდან 5054 მეტრ სიმაღლეზე, სენაკელმა თემო კუბეციამ მშობლიური ქალაქის დროშა ააფრიალა.

მიზანდასახული, გამორჩეული ახალგაზრდა, რომელსაც არაერთხელ დაულაშქრავს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა მწვერვალები, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის და ქონების მართვის სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტია. სწავლობდა სენაკის N1 და თბილისის N51 საჯარო სკოლაში, დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი – არის არქეოლოგიის ბაკალავრი. სხვადასხვა პერიოდში მუშაობდა სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში, გამოცდებისა და შეფასების ეროვნულ ცენტრში, ნოქალაქევის პარმენ ზაქარაიას სახელობის არქიტექტურულ-არქეოლოგიურ მუზეუმ-ნაკრძალში; სენაკის მუნიციპალიტეტის მერიაში - კულტურის სამსახურში.

თემო კუბეცია დღეს ჩვენი სტუმარია.

თემო, თქვენ არამარტო პირველი, არამედ ერთადერთი სენაკელი ხართ, ვინც ქვეყნის ერთ-ერთ უმაღლეს მწვერვალზე დადგით ფეხი, პირველ რიგში გილოცავთ მყინვარწვერის წარმატებით დალაშქვრას, რა განცდა დაგეუფლა როცა სენაკის დროშა ააფრიალე?

მადლობა გულწრფელი მოლოცვისთვის. რაც შეეხება განცდებს, უდავოდ გამორჩეული შეგრძნებაა, როდესაც ასეთ სიმაღლეზე ადიხარ, ერთდროულად გეუფლება სიხარული, თავდაჯერებულობა, ბედნიერების შეგრძნება და წამიერად სადღაც ქრება დაღლილობა, სიცივე, ყოველგვარი დისკომფორტი. მომენტს განსაკუთრებულობას მატებს ის ფაქტი, რომ ამას საკუთარი ქალაქის სახელით აკეთებ და მწვერვალზე დროშას ააფრიალებ.

როგორც ვიცი, სირთულის მხრივ მყინვარწვერი არ ჩამოუვარდება ევროპის, აზიის, ამერიკის... მთებს. მასზე დიდი ილია ამბობდა: დიდებული რამ არის ეგ მყინვარი. აბა მაგას შეუძლიან სთქვას: ცა ქუდადა მაქვს და დედამიწა ქალამნადაო. თქვენი თვალთახედვიდან როგორია ,,მისი უდიდებულესობა" ყაზბეგის მთა ანუ მყინვარწვერი?

ყაზბეგის მთას ქართულად მყინვარწვერი ქვია. თუმცა ადგილობრივები მთას ყაზბეგს ეძახიან, მთის ძირში მდებარე დასახლებული პუნქტის გამო, რომელსაც ახლა სტეფანწმინდა ქვია. ძველბერძნული მითის თანახმად, პრომეთე, რომელმაც ადამიანებს ცეცხლის საიდუმლო გაუზიარა, ღმერთებმა ყაზბეგის მთაზე მიაჯაჭვეს. "ხევის დედოფალი", როგორც მოიხსენიებენ მყინვარწვერს, მართლაც გამორჩეული მწვერვალია და მოხევეების მიერ შერქმეულ ამ სახელს უდავოდ ამართლებს. ის ულამაზესია! მომაჯადოვებელიც კი და მისი დანახვის პირველივე წამებში გამიელვა აზრმა, რომ ეს სილამაზე აუცილებლად ახლოდან უნდა მენახა! მყინვარწვერის სიმაღლე ზღვის დონიდან 5054 მეტრია და საქართველოში მეორე მწვერვალია სიმაღლით. რაც შეეხება მის "ხასიათს" - განსაკუთრებული სილამაზე, განსაკუთრებულ სიფრთხილეს მოითხოვს, მასთან ხუმრობა არ ღირს! აუცილებლად ჩაებით თოკში და მხოლოდ გამოცდილ გამყოლთან ერთად გაიარეთ ეს რთული გზა.

ვისთან ერთად დალაშქრეთ მყინვარწვერი, მწვერვალამდე მისასვლელად რა მარშრუტი გქონდათ არჩეული?

აქვე აღვნიშნავ, რომ ეს ჩემი მეორე ასვლაა მყინვარწვერზე, პირველად 2021 წელს ავედი, მეორედ კი წელს. გუნდი სამი წევრისგან შედგებოდა - მე და ჩემი ორი მეგობარი: თამარ ჭავჭავაძე, სოფიო კუსიანი. თამარიც მეორედ ესტუმრა მყინვარწვერს, სოფიო კი ერთ-ერთი გამორჩეული ალპინისტია და ეს მისი მეშვიდე ასვლა იყო. მყინვარწვერზე სტანდარტული მეორე სირთულის (მაილის პლატოდან) მარშრუტით ავედით.

რომელი დროა საუკეთესო მყინვარწვერის დასალაშქრად, რა უფრო მნიშვნელოვანია ფიზიკური მზადყოფნა თუ ფსიქოლოგიური მომზადება?

მყინვარწვერზე ასასვლელად საუკეთესო პერიოდია აგვისტო-სექტემბერი. ამ პერიოდში ყველაზე დიდხანს ანათებს მზე მყინვარის ცივ ფერდობებს, რაც თავის მხრივ იწვევს თოვლის დნობას და გზა ნაკლებად სახიფათო ხდება. სექტემბრის პირველ ნახევარში თოვლის საფარი მინიმალურ დონეს აღწევს და ნაპრალებიც ხილვადი ხდება, წვიმა და ქარიშხალიც იშვიათად სტუმრობს მთას. აქ ორი მთავარი საფრთხეა - ნაპრალები და უამინდობა. ნაპრალები ყოველთვის არ ჩანს და არასოდეს იცი ზუსტად რამდენად მყარია ყინული შენი ყოველი ნაბიჯის ქვეშ. აქ ხშირია ჭექა-ქუხილი, თოვლი, წვიმა, ქარბუქი, ყინვა, ნისლი. შესაბამისად მზად უნდა ვიყოთ როგორც ფსიქოლოგიურად, ასევე ფიზიკურად ნებისმიერი გამოწვევისთვის. მნიშვნელოვანი დეტალია ექსპედიციის სწორად დაგეგმვა იმგვარად, რომ ერთ ჯერზე არ მოგვიწიოს სიმაღლის მკვეთრად აწევა, რომ "მთის დაავადებამ" არ იჩინოს თავი. სასურველია გარკვეულ სიმაღლეზე ასვლის შემდეგ აქ კარგად გამოძინება, რომ ორგანიზმმა აკლიმატიზაცია გაიაროს და მოემზადოს ექსტრემალური გარემოსთვის. ასევე აუცილებელია სწორად შერჩეული, შესაბამისი სამთო აღჭურვილობა, რომელზეც ჩვენი სიცოცხლე და ჯანმრთელობა დიდ წილად დამოკიდებულია.

ვიცი, რომ ძალიან გიყვარს მოგზაურობა, ლაშქრობები, თითქმის მთელი საქართველო გაქვს შემოვლილი, როდის გაგიჩნდათ მთამსვლელობის სურვილი და როგორია ამ მხრივ სამომავლო გეგმები?

დიახ, ალპინიზმი მხოლოდ ჰობია, რაც შეეხება ლაშქრობას, უდავოდ ძალიან მიყვარს და შეიძლება ითქვას რომ პროფესიონალურად ვეკიდები. უამრავი ადგილი მაქვს ფეხით მოვლილი, საქართველოს ყველა კუთხეში ვარ ნამყოფი, გარდა თუშეთისა. მთამსვლელობას რაც შეეხება, ნიშანდობლივია რომ სწორედ მყინვარწვერი იყო ამ სურვილის „მიზეზი". სამომავლო გეგმებიც რა თქმა უნდა მაქვს, ჩემი შემდეგი მიზანი მწვერვალი თეთნულდია. მართალია სიმაღლით ჩამოუვარდება მყინვარწვერს, თუმცა სირთულით აღემატება და განსაკუთრებულად უნდა მოვემზადო ამ ასვლისთვის.

მადლობა ინტერვიუსთვის.

თემოს მაგალითზე რწმუნდები, რომ შეუძლებელი არაფერია, მთავარია სურვილი და მონდომება. ვუსურვებთ წარმატებით დაელაშქროს ყველა სირთულე.

მაია შონია

შემოქმედი ახალგაზრდა მეურნე

სენაკის მუნიციპალიტეტი, მისი ისტორიის ყველა ეტაპზე, გამოირჩეოდა წარმატებული წიაღსვლებით: კულტურის, განათლების, სპორტის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობისა და სხვა მრავალი მიმართულებით, თითოეული დარგის წარმატება ერთ-ერთი ქვაკუთხედი იყო ქალაქის და ზოგადად, ქვეყნის განვითარებისა. ახალგაზრდული ენერგია ყოველთვის წარმოადგენდა მამოძრავებელ ლოკომოტივს მეურნეობის ამა თუ იმ დარგისთვის.

გაზეთ ,,კოლხეთის" გვერდები, თავისი ინფორმაციული მრავალფეროვნებით, ოდითგან აკმაყოფილებდა საზოგადოებრივ ცნობისმოყვარეობას სოფლის მეურნეობის სხვადასხვა სფეროში. მიმდინარე თვის ნომერიც არ ჩამორჩა ამ ტრადიციას - მინდა წარმოგიდგინოთ თავისი საქმიანობით, ორიგინალური ხედვით, შრომისმოყვარეობითა და მიზანდასახულობით მეტად საინტერესო ახალგაზრდა, სენაკის მკვიდრი, ფერმერული საქმიანობის ერთ-ერთი მებაირახტე მურმან გვასალია. პროფესიისადმი თანდაყოლილი უნარები, ბუნებრივი მიდრეკილება, მისდამი ინტერესი ერთია და ამავე დროს თუ მას თან ახლავს ზოგადი შემოქმედებითი ფანტაზია (შეძლება იმისა, რომ ეს ნიჭი ორიგინალურად წარმოაჩინო), კოსმეტიკურად კიდევ უფრო აკეთილშობილებს სამეცნიერო დისციპლინას და შედეგსაც სრულყოფილს ხდის.

ბატონი მურმანი, სენაკის მუნიციპალიტეტის მკვიდრი, მეტად საინტერესო ახალგაზრდაა, მან საშუალო განათლება მიიღო გენო ადამიას სახელობის ქალაქ სენაკის N1 საჯარო სკოლაში, სამომავლოდ აირჩია ისეთი პროფესია, რომელიც საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს შორის, ყველაზე პროდუქტიული და მატერიალური წარმოების თვალსაზრისით, ერთ-ერთი ძირითადი დარგია - დაამთავრა ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული ფაკულტეტი, მონაწილეობა აქვს მიღებული სხვადასხვა აქტივობებსა და საგანმანათლებლო პროგრამებში.

დღეს, ჩვენი სახელმწიფოს პრიორიტეტულ სამიზნეს ფერმერული მეურნეობის აღორძინება წარმოადგენს - ამ მხრივ ხორციელდება ღონისძიებები, როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო სახსრებით. სოფლის მეურნეობის ამ სფეროს ორგანიზაციულ მოწყობას, გარდა ფინანსური ბაზისისა, სჭირდება კერძო ინიციატივა, გარკვეული ინტელექტუალური რესურსი, ენთუზიაზმი, რომელიც საბოლოოდ სახელმწიფოს ეხმარება დარგის განვითარებასა და ქვეყანაში მატერიალური რესურსის დაგროვებაში.

მურმან გვასალია წარმოადგენს იმ ინიციატივიან, შინაგანი ენერგიის მატარებელ ადამიანს, რომელმაც, მისი ნიჭის რეალიზაციის გამოყენებით, სრულიად ახალგაზრდამ, 20 წლის ასაკში შექმნა დეკორატიული ფრინველების ფერმა. როგორც იტყვიან ,,ქალაქი ერთ დღეში არ აშენებულაო", ამ ყველაფერს ჰქონდა თავისი სუბიექტური და ობიექტური საფუძვლები, რაზეც თავად ისაუბრა:

- 2020 წელს გავწევრიანდი მეფრინველეობის ერთ-ერთ ჯგუფში, სადაც აღმოვაჩინე დეკორატიული ფრინველები, რამაც დამაინტერესა, რომ მეც მყოლოდა ფრინველთა აღნიშნული სახეობები. ჩემმა მეგობარმა მაჩუქა 2 სხვადასხვა ჯიშის ქათმის კვერცხი, მათი გამოჩეკვის შედეგად მივიღე - ერთი აბრეშუმის ქათამი, მეორე მილფერის, რომელიც წარმოადგენენ დეკორატიულ ფრინველთა ჯგუფს, ერთი იზრდება მტრედის ზომის, მეორეს კი ბუმბულის ნაცვლად აქვს ბეწვი, აღნიშნულიდან გამომდინარე კიდევ უფრო მეტად დავინტერესდი მეფრინველეობის ამ დაგრით, შესაბამისად უფრო მეტი ფრთოსანი შევისყიდე, ასევე გადავწყვიტე სოციალურ ქსელში გამეკეთებინა ჩემი ფერმის ,,ფეიჯი"(გვერდი), რამაც ხალხში დიდი ინტერესი გამოიწვია, მე კი მომცა კიდევ უფრო მეტი მოტივაცია აქტიურად ჩავრთულიყავი ამ საქმიანობაში - გავაფართოვე დეკორატიულ ფრინველთა წრე, მოვაშენე: ფარშევანგი, ხოხობი, იხვი, ბატი, ციცარი. ამ ეტაპზე ჩემს საფრინველეში მყავს ასი სხვადასხვა ფრინველი, ისინი წარმოდგენილნი არიან შემდეგ ჯიშებად: 10 სხვადასხვა ჯიშის ქათამი, ორი სხვადასხვა ჯიშის ფარშევანგი, სამი სხვადასხვა ჯიშის ინდაური, ციცრები, ბატები, ორი ჯიშის იხვი. ფერმის გარდა ვმუშაობ სამ სხვადასხვა სამსახურში, ვეწევი რეკომენდაციებს მეფრინველეობასთან დაკავშირებით იმ პრობლემებზე, რა პრობლემებსაც გადავაწყდი ჩემს პრაქტიკაში, ასევე დაკავებული ვარ პიარით, ცალკეულ კომპანიებთან მაქვს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება, მათთვის სარეკლამო სამსახურის გაწევის შესახებ, წავმართავ მეურნეობას სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ხორშში - ექვს ჰექტარ მიწაზე გაშენებული მაქვს ჩანდლერის ჯიშის კაკალი, ხურმა, ფეიხო, კივი. ოჯახი ვეწევით მეფუტკრეობას. სურვილი მაქვს განვახორციელო საქმიანობა მეცხოველეობის დარგშიც და აქტიურად ჩავერთო ამ კუთხით.

ამ ახალგაზრდა კაცის მონათხრობმა საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა - თითქოს და რა მარტივად წარმოითქმება ეს ყველაფერი, მაგრამ მის უკან დგას დიდი ინტერესი, ენთუზიაზმი, კოლოსალური შრომა, რომელსაც მთავარ სხივად გასდევს ნიჭი, ის თანდაყოლილი მეტაფიზიკური არსი, თილისმა, რაც ზენაარსმა დაანათლა ყმაწვილკაცს.

გაზეთ ,,კოლხეთის" სახელით ნიჭიერ მეურნე-შემოქმედს ვუსურვებთ მისი უნარების მაქსიმალურად რეალიზებას, ამ კუთხით ახალი მწვერვალების დაპყრობას, რაც საბოლოოდ საწინდარი გახდება ჩვენი ქალაქისა და ქვეყნის სიძლიერისა.

გიორგი გარუჩავა

ისტორია - ნაყოფიერი და წარმატებული საქმიანობით გაჯერებული

სენაკის მდიდარი ბიოგრაფია მისი წარსულით იწყება, რომელიც აწმყოშიც ჰპოვებს განსხეულებას. ვისი ნამყო სრულფასოვანი არაა, უფესვო ხეს ჰგავს, რომლის ზრდა-განვითარება საეჭვოა. ამიტომ წარსული, რომელიც ჩვენი წინაპრების მიერ ნაბიჯ-ნაბიჯ არის ნაშენები, უნდა გვახსოვდეს,

ვითვალისწინებდეთ, ვიაზრებდეთ, ვაჯერებდეთ აწმყოსთან... ეს კი ჩვენს ნებისმიერ საქმეს სიმყარეს შესძენს, თან მომდევნო თაობასაც გაუადვილდება ჩვენს ჩაყრილ ბალავარზე უშეცდომოდ კედლების ამოყვანა.

ასე რომ მუნიციპალიტეტის მრავალფეროვანი და მრავალწლოვანი ისტორია, წინაპრების მიერ რუდუნებით შექმნილი, ჩვენი ფასდაუდებელი საუნჯეა. დღეს გვინდა განათლების სფეროდან ტრადიციით, ისტორიით გამორჩეული საქართველოს (და არა მხოლოდ) მაშტაბით ცნობილ სასწავლებელზე, ,,ცხაკაიას სასოფლო სამეურნეო ტექნიკუმზე" გესაუბროთ, რადგან მისი დაარსებიდან 100 წელი შესრულდა.

ამ თავითვე უნდა აღინიშნოს, რომ ტექნიკუმმა არსებობის ასწლოვან გზაზე არაერთგზის შეცვალა პროფილი და მიმართულება, თუმცაღა თავისი ადგილითა და სწავლების დონით ყოველთვის მოწინავეთა რიგებში რჩებოდა.

1993 წელს ტექნიკუმი გადაკეთდა აგრარულ-ეკონომიკურ კოლეჯად, ხოლო 2014 წელს მოხდა კოლეჯის რეორგანიზაცია და მის საფუძველზე შ.მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სენაკის პროფესიული განათლების ცენტრი ჩამოყალიბდა.

დავუბრუნდეთ სასწავლებლის დაფუძნების საკითხს. ტექნიკუმის დაარსების თარიღია 1924 წლის სექტემბერი, თუმცა სწავლება პირველ ნოემბერს დაწყებულა, სწავლების ვადა კი ოთხი წლით განსაზღვრულა. ტექნიკუმისთვის გამოუყვიათ ერთსარუთულიანი შენობა, ექვსი ჰექტარი მიწის ფართობით. დირექტორად ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმიდან ახალგაზრდა მასწავლებელი გიორგი ქანთარია გადმოუყვანიათ. რადგანაც სასწავლებელი სუფთა ფურცლიდან იწყებდა მუშაობას, მას სწავლების დაწყებამდე ორგანიზაციული, ყოფითი თუ სწავლებასთან დაკავშირებული უამრავი საკითხი უნდა გადაეწყვიტა, ამიტომ სწავლა მოგვიანებით, პირველ ნოემბერს დაწყებულა. ტექნიკუმის პირველ დირექტორს გ. ქანთარიას ახალგაზრდა კოლექტივთან ერთად დიდი მუშაობა გაუწევია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაქმნელად, მოსწავლეთა კონტინგენტის შერჩევისა და პროფილების განსაზღვრისთვის, ტექნიკუმის სასწავლო მეურნეობის დაგეგმვისთვის, სასაწავლო გეგმის შემუშავებისთვის, დიდი მუშაობა დასჭირვებია კადრების შერჩევასა და პედკოლექტივის დაკომპლექტების საქმესაც.

მიუხედავად ყველაფრისა სასწავლებელმა პირველივე წლებიდანვე დააწესა სწავლების მაღალი სტანდარტი. ტექნიკუმი ამზადებდა საშუალო კვალიფიკაციის სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, თავიდან მემინდვრეობისა და ზოოტექნიკური პროფილით, შემდგომ წლებში თანდათან არეალი გაიზარდა, გაჩნდა ტექნიკის მექანიკოსის, აგრონომ-ქიმიკოსის, ბუღალტრის და ა.შ. სპეციალობები. წლების მანძილზე სწავლების მოდერნიზებასთან დაკავშირებით პროფილებიც ზუსტდებოდა და იხვეწებოდა. ტექნიკუმის კურსდამთავრებულები ძირითად სპეციალობებთან ერთად მეორე პროფესიასაც ეუფლებოდნენ და მათ ავტომძღოლის, ტრაქტორისტის, მყნობელის, ქიმიკოს-ანალიტიკოსის სტატუსები ენიჭებოდათ.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ტექნიკუმი ცოდნას განავრცობდა მთელს რეგიონში, აქ სენაკელებთან ერთად სწავლობდნენ მეზობელი რაიონების - ხობის, აბაშის, მარტვილის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, გალის, ოჩამჩირის, ზუგდიდის ახალგაზრდები, აგრეთვე მახლობელი ქალაქებიდან და რუსეთიდანაც კი ახალგაზრდები. 1933

წელს ჩვენს ტექნიკუმს შემოუერთდა ფოთის სუბტროპიკულ კულტურათა პირველი და მესამე კურსი, აგრეთვე კრასნოდარის ახალბოჭკოვან კულტურათა ტექნიკუმის მესამე კურსი (რუსული სექტორი). აღნიშნული ფაქტი ჩვენი ტექნიკუმის ხარისხის სიჯანსაღეზე და მნიშვნელობის არეალის გაზრდაზე მიუთითებს. მოპოვებული ფუნქცია თუ მიღწევა, წლების მატებასთან ერთად ტექნიკუმმა კიდევ უფრო განავითარა და დამსახურებულად მოიპოვა საპატიო ადგილი განათლების სფეროში.

ისმის კითხვა, რამ განაპირობა ტექნიკუმის ასეთი წარმატება? - უპირველესად კადრებმა, სრულყოფილმა მატერიალურ-ტექნიკურმა ბაზამ, სწავლების სწორმა ხაზმა, საკვლევ-საცდელ სამუშაოთა მეთოდოლოგიამ, ყოფითმა პირობებმა და ა.შ.

ტექნიკუმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაქმნელად მისი დაარსების დღიდან დაწყებულა ზრუნვა. ამიტომ წლების მანძილზე აქ შეიქმნა, აღიჭურვა და ფუნქციონირება დაიწყო არაერთმა კლას კაბინეტმა: პირველი იყო ფიზიკის, შემდეგ ქიმიის, ნიადაგმცოდნეობის კაბინეტები. ამას მოყვა ლითონთა ტექნოლოგიის, ხაზვის, ავტოსაქმის, გამოთვლითი ტექნიკის, სამხედრო საქმის, სპორტის და ა.შ. კაბინეტები. ისინი აღჭურვილი იყო შესაბამისი ინვენტარებით - ხელსაწყო-იარაღებითა და თვალსაჩინოებებით.

,,1974 წელს ტექნიკუმში ფუნქციონირებდა და ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა 27 კაბინეტ-ლაბორატორია. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებამ შესაძლებელი გახადა სწავლება გადასულიყო კაბინეტურ სისტემაზე, რომელმაც საგრძნობლად გააუმჯობესა კაბინეტ-ლაბორატორიების მოწყობილობათა გამოყენება. საინტერესო გახადა სასწავლო პროცესი, აამაღლა სტუდენტთა მოტივაცია და სწავლების ხარისხი, ხელი შეუწყო მასწავლებელთა პასუხისმგებლობის გაძლიერებას, საგნის/საგნების, სწავლა-სწავლების დონის ამაღლების, არსებული რესურსების დაცვისა და შევსების საქმეში. 80-იან წლებში ტექნიკუმში შეიქმნა კომპიუტერის კლას-კაბინეტი, თითოეულ სტუდენტზე სამუშაო ადგილით, რომლის მიზანი იყო სტუდენტებს შეეძინათ კომპიუტერული ტექნოლოგიების საბაზისო ცოდნა და გამოემუშავებინათ პროფესიული უნარ-ჩვევები, რომ კურსდამთავრებულებს შესძლებოდათ დამოუკიდებელი პროფესიული საქმიანობა"(გ. მურღულიას ჩანაწერებიდან).

ტექნიკუმში თეორიული ცოდნა პრაქტიკული გამოცდილებით მყარდებოდა, საცდელ- კვლევით სამუშაოებს სტუდენტები ტექნიკუმის სასწავლო მეურნეობასა და ფერმაში აწარმოებდნენ. თავიდან სასწავლო მეურნეობის ფართი ექვსი ჰექტარი ყოფილა, რომლის სიდიდე სამოციან წლებში 84,5 ჰექტრამდე გაზრდილა.

თავდაპირველი სასწავლო მეურნეობა მაზრის მოსახლეობისთვის სანიმუშო და საჩვენებელი იყო, აქ მოყვანილი ბოსტნეულით მარაგდებოდა თურმე მაზრის სკოლები, ხოლო დეკორატიული მცენარეებითა და ხეხილის ნერგებით მოსახლეობა. ამასთან აქ ეწყობოდა ექსკურსიები და კონსულტაციები, რომელიც მოსახლეობას საშუალებას აძლევდა მიეღო აგროტექნიკური ცოდნა, რაც იმ პერიოდში უმნიშვნელოვანესი გახდა. ტექნიკუმს მის ხელთ არსებული მეურნეობა დაგეგმილი ჰქონდა და ზუსტად გათვლილი სხვადასხვა სახის კულტურათა მოსაყვანად. აღნიშნული ფართობები გამოიყენებოდა

(გაგრძელება მეშვიდე გვერდზე)

ისტორია - ნაყოფიერი და წარმატებული საქმიანობით გაჯერებული

(დასასრული)

ერთწლიანი კულტურების დასათესათ, ბოსტნეულ-ბაღჩეულის მოსაყვანად, ხეხილის გასაშენებლად... აგრეთვე საცდელ ნაკვეთებად, სადაც მოსწავლეები პრაქტიკულ დაკვირვებებს აწარმოებდნენ, სანერგე მეურნეობაში კი სხვადასხვა ჯიშის ნერგები გამოჰყავდათ. ტექნიკუმში სასწავლო მიზნით მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა და მეღორეობის ფერმაც ჰქონდათ გახსნილი.

როგორც ცნობილია, თავიდან ტექნიკუმი განთავსებულა სენაკელი მემამულის, მიქელაძის სახლში. მაგრამ, ტექნიკუმის არეალის გაზრდამ შემდგომ დღის წესრიგში დააყენა სასწავლო კორპუსის, მოსწავლეთა საერთო საცხოვრებლის, მასწავლებელთა სახლის, სასადილოს... აშენების, მანქანა-ტრაქტორთა პარკის მოწყობის და მრავალი სხვა მნიშვნელოვანი საკითხების მოგვარება. რაც შეეხება ტექნიკუმის ეზოს, ის სენაკში განსხვავებული და გამორჩეულია თავისი ფართობით, განაშენიანებით, მცენარეთა ჯიშებით, ყვავილნარით, მოწყობით... განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ტექნიკუმის ბიბლიოთეკა, რომელიც მდიდარია წიგნადი ფონდით. ოთხმოციან წლებში ის 14 500-ზე მეტ წიგნს ითვლიდა თურმე, აქ შეხვდებოდით უნიკალურ გამოცემებს, ენციკლობედიების, ლექსიკონების, პროფილური ლიტერატურის და ა.შ. სახით.

ტექნიკუმის აღზრდილები თავისი პროფესიონალიზმით ყოველთვის მისაბაძნი ყოფილან. ისინი

საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში წარმატებულად მოღვაწეობდნენ, რაც შეეხება სამეცნიერო სიბრტყეს, აქაც ტექნიკუმელები მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდნენ და უამრავმა მათგანმა მოიპოვა სამეცნიერო ხარისხი.

რაც შეეხება პედაგოგ-მასწავლებელთა არმიას, მათ სიმრავლიდან გამომდინარე ვერ ჩამოვთვლით, უბრალოდ შეგახსენებთ ზოგიერთ მათგანს - ტექნიკუმის პირველი მასწავლებლები: რომანოზ დოღონაძე, ირაკლი ლეკვეიშვილი, ალექსანდრე სარჩიმელია, მიხეილ თათარიშვილი, გრიგოლ ხუროძე, კონსტანტინე მაჩიტაძე და ა.შ. სხვადასხვა დროს სასწავლო-სააღმზრდელო გამოცდილებით გამოირჩეოდნენ: გიორგი კალანდარიშვილი, ერეთეოზ კერძაია, ანტონ ფირცხალავა, ხუტა საბახტარაშვილი, ედუარდ კოდუა, კარლო კიტია, ლამარა ქაჩიბაია, კარლო ხარგელია, ბაბულია ჯანიკაშვილი, მიხეილ ქურდოვანიძე, გიგლა ხარგელია, ბორის ყურაშვილი, ნანა ბაღათურია და ა.შ.

ტექნიკუმის დირექტორები: გიორგი ქანთარია, ერმილე შუშანია, გაიოზ ბერულავა, აკაკი ბაღათურია, ბაგრატ მიქავა, ვალერიან შელია, ვარლამ დგებუაძე, ირაკლი უჩანეიშვილი, ვანო ნაროუშვილი, დომენტი კვაშილავა, აკაკი შონია, ნოე გაგუა, დომენტი ოჩიგავა, სერგო გოგინავა, ლეონიდე შაფათავა, მამანტი ქვარცხავა, მარლენ ტაბაღუა, ელენე ადამია ...

თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ ,,ცხაკაიას სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის" გახსნა სენაკში, დროის მოთხოვნასთან ერთად ისტორიული მნიშვნელობის მოვლენაც იყო, ეს უნდა ჩაითვალოს გარღვევად მაშინდელი განათლების სფეროში, რადგანაც მოცემული დროის რეალობიდან გამომდინარე, ნებისმიერი მიმართულების განათლების კერა ჰაერივით საჭირო იყო რეგიონისთვის, სადაც წერა-კითხვის უცოდინართა არმია გვყავდა, ხოლო სკოლათა შეზღუდული რაოდენობა არსებულ პრობლემას ვერ უმკლავდებოდა, ამიტომ პროფილური სასწავლებლის გახსნა, რომელიც თეორიასთან ერთად პრაქტიკული უნარჩვევებით აღჭურავდა სასწავლებლის კურსდამთავრებულებს, უმნიშვნელოვანესი იყო კვალიფიციური კადრების რაოდენობრივი ზრდისთვის, რომელიც ასე ძალიან სჭირდებოდა ქვეყანას, მით უფრო პერიფერიას, უპირველესად კი სოფლის მეურნეობის აღმავლობას. ტექნიკუმმა დროის დაკვეთა წარმატებით შეასრულა და იგი გახდა პროფესიული უნარებით აღჭურვილია კადრთა ,,სამჭედლო".

,,ცხაკაიას სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმისთვის" განვლილი 100 წელი ისტორიაა ნაყოფიერი და წარმატებული საქმიანობით გაჯერებული.

ყველა ტექნიკუმელს რედაქციის სახელით ვუღოცავთ საუკუნოვან იუბილეს.

ნინო სართანია,

სურათები აღებულია ტექნიკუმის ღვაწლმოსილი პედაგოგისა და მემატიანის გურამ მურღულიას ფოტოარქივიდან

ჩვენ პირველკლასელები ვართ

ნინო კორშია



ეს თვალებხატულა, ლამაზი გოგონა გენო ადამიას სახელობის № 1 საჯარო სკოლის პირველკლასელი ნინო კორშიაა.

ბეჯითმა, ჭკვიანმა, შრომისმოყვარე, მიზანდასახულმა გოგონამ წარმატებით დაამთავრა № 1 საბავშვო ბაღი, სადაც ბევრი ლექსი, სიმღერა და ზღაპარი ისწავლა.

ახლა უკვე მოსწავლეა, დროებით გვერდზე გადადო საყვარელი თოჯინები და სათამაშოები - ,,სად მცალია სათამაშოდ, გაკვეთილები მაქვს სასწავლი. კარგი სწავლით გული უნდა გავუხარო დედიკოსა და მამიკოს, ბებიასა და ბაბუას" -ამბობს ნინო.

ყოველ დილით მიუხარია სკოლისაკენ, სადაც საყვარელი სალომე მასწავლებელი და მეგობრები ელოდებიან, რომლებთანაც ერთად ცოდნის ჯადოსნურ სამყაროში იმოგზაურებს.

მშობლები ინგა ვართაგავა და ირაკლი კორშია ბედნიერ და წარმატებულ მომავალს უსურვებენ ნებიერა გოგოს.

იოანე განგავა

იოანე 16 სექტემბერს პირველად მიუჯდა ჟიული შარტავას სახელობის მეორე საჯარო სკოლის სასწავლო მერხს და განიცადა ის სიხარული და ემოცია, რასაც პირველკლასელობა ჰქვია.

ის დიდი მონდომებით ემზადებოდა სკოლისათვის. მკვირცხლი, მახვილი გონებისა და საღი აზროვნების იოანემ საბავშვო ბაღ ,,ზღაპრულ კოშკში" შეისწავლა საწყისი ეტაპისათვის საჭირო ცოდნა. უყვარს ცხოველები, კომპიუტერული თამაშები. ძალიან გაუჭირდა საყვარელ მასწავლებლებთან, მეგობრებთან განშორება, მაგრამ მაინც სკოლაში ურჩევნია. იცის, რომ სკოლაში მეტ ცოდნასა და გამოცდილებას მიიღებს და ახალ მეგობრებსაც შეიძენს.

სკოლიდან დაბრუნებული ხშირად უყვება დედ-მამას, მაკა წოწერიას და ელდარ განგავას საყვარელ მანანა მასწავლებელზე, ახლადშეძენილ მეგობრებზე.

თავის მხრივ მშობლები უსურვებენ თავიანთ პირმშოს ბედნიერ, ნათელ მომავალს.

მვირფასო სენაკელებო!

დაიწყო ხელმოწერა გაზეთ ,,კოლხეთზე". გთხოვთ, გამოიწეროთ რაიონის მემაჯიანე გაზეთი



დამსახურებული ჯილდო

სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლა ტრადიციებითა და მრავალმხრიობით წამყვან ადგილს იკავებს რეგიონში.

საგუნდო სიმღერა, როგორც ცნობილია ავითარებს მოსწავლეთა მხატვრულ გემოვნებას, მნიშვნელოვნად აფართოებს და ამდიდრებს მათ ჰორიზონტს, ხელს უწყობს სასიმღერო კულტურისა და მუსიკალური წიგნიერების განვითარებას.

29 სექტემბერს ქალაქ თბილისში კონსერვატორიის მცირე დარბაზში საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების VIII ეროვნული კონკურსი ჩატარდა, სადაც ჟიურის წინაშე სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლის გოგონათა ვოკალური ანსამბლი წარსდგა. ანსამბლის ხელმძღვანელია, გრიალა სამინავა, კონცერტმეისტერი კი-ინგა გადელია.

16 ოქტომბერს კი-თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების VIII ეროვნული კონკურსის გალა კონცერტი გაიმართა. სამუსიკო სკოლის გოგონათა ვოკალურ ანსამბლს პირველი ადგილი და ოქროს მედალი გადაეცა, სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრს კი საგუნდო ხელოვნების ხელშეწყობისა და პროპაგანდისათვის მადლობის სიგელი.

ხელოვნების ცენტრს არაერთი აღიარება და მაღალი ჯილდო აქვს მიღებული თავისი არსებობის მანძილზე, მარტო სენაკის არტ ფესტივალი რომ ავიღოთ ისიც ცხადჰყოფს, რომ სენაკში ფესტივალის დღეებში ხელოვნების ნამდვილი ზეიმია და ნიჭიერი შემოქმედი ახალგაზრდების გამოვლენის უნიკალური შესაძლებლობა.

,,საგუნდო კოლექტივების VIII ეროვნულ კონკურსში გამარჯვება კი დიდი მოტივაციაა კონკურსის მონაწილეებისა და მათი პედაგოგებისათვის. ამ გამარჯვებას მივაღწიეთ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში, რომელიც არის არამხოლოდ ქვეყნის უმნიშვნელოვანესი კერა, არამედ საერთაშორისო აღიარების უმაღლესი სასწავლებელი" - ამბობს ხელოვნების ცენტრის დირექტორი, ვეფხვია ვეფხვაძე.

გოგონათა ვოკალური ანსამბლის ხელმძღვანელი, ქალბატონი გრიალა სამინავა გამოირჩევა თავისი საქმის პროფესიონალიზმით და შრომისმოყვარეობით. წარჩინებით დამთავრებული აქვს ფოთის მუსიკალური სასწავლებელი- საგუნდო სადირიჟორო განხრით. 1973 წლიდან დღემდე მუშაობს სენაკის მესამე საშუალო სკოლაში და მუსიკის სიყვარულს უნერგავს მოსწავლე - ახალგაზრდობას.

2011 წელს დაიწყო მუშაობა სენაკის სამუსიკო სკოლაში სოლფეჯიოსა და ვოკალური ანსამბლის მასწავლებლად. წარმატებული საქმიანობისათვის მიღებული აქვს არაერთი სიგელი და სერტიფიკატი.

2022 – 23 წლებში სამუსიკო სკოლის კვარტეტმა, პედაგოგი, გრიალა სამინავას და კონცერტმეისტერი, ინგა გადელიას ხელმძღვანელობით მონაწილეობა მიიღო კონკურს- ფესტივალში ,,სხვა საქართველო სად არის", სადაც მეორე ადგილი მოიპოვა. კვარტეტი მიწვეული იქნა პოსტ ტვ-ს სატელევიზიო გადაცემაში.

პედაგოგისთვის განსაკუთრებით ამაღელვებელია კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში კომპეტენტური ჟიურის წინაშე გამოსვლა და იქ მიღწეული წარმატება.

მედიასთან საუბარში თავიანთ აზრს აფიქსირებენ მშობლები და მოსწავლეები:

ელზა სებისკვერაძე, მშობელი - ,,ჩემი შვილი, ლენა გახლავთ გოგონათა ვოკალური ანსამბლის სოლისტი. ის 6 წლიდან სწავლობს სამუსიკო სკოლაში. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ სკოლა მისთვის მეორე ოჯახია. კონკურსში გამარჯვება და ოქროს მედლის მოპოვება გრიალა მასწავლებლის კოლოსალური შრომის შედეგია.

მინდა მშობლების სახელით, უპირველესად მადლობა ვუთხრა მუნიციპალიტეტის მერს, ვახტანგ გადელიას, მერიის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა

სამსახურის უფროსს, გივი მისაბიშვილს, ამავე სამსახურის სპეციალისტებს, ხელოვნების ცენტრის დირექტორს, ვეფხვია ვეფხვაძეს და ყველა იმ ადამიანს, ვინც ჩართული იყო ორგანიზაციული საკითხების მოგვარებაში. უზრუნველყოფილი იყო მოსწავლეთა ტრანსპორტირება და სხვა ხარჯები.

მეამაყება, რომ ჩემი შვილი და მისი თანატოლები გამოვიდნენ ჩვენი ქვეყნის საუკეთესო მუსიკალურ დაწესებულებაში, რომელმაც წარსულში ლეგენდარული და თანამედროვეობის მსოფლიოში აღიარებული პროფესიონალები გაზარდა".

ელენე ლომაია, სამუსიკო სკოლის მოსწავლე- ,,თავს ბედნიერად ვთვლი, რომ ამ გამარჯვების მონაწილე ვარ. ვულოცავ ყველას, ჩვენი ანსამბლის წევრებს, ჩემს მასწავლებლებს. წარმატებები ჩემს სკოლას".

ქალბატონები გრიალა სამინავა და ინგა გადელია ჰარმონიულად თანამშრომლობენ, შეთანხმებულად მუშაობენ რეპერტუარის შერჩევისას და სხვა პროფესიულ საკითხებზე.

,,ინგა გადელია წლებია გოგონათა ვოკალური ანსამბლის კონცერტმაისტერია.ინგას პროფესიონალიზმის და უანგარო მუშაობის შედეგია არაერთი მიღწეული წარმატება.ჩვენ ვამაყობთ ჩვენი ანსამბლის გოგონებით და იმედი გვაქვს ჩვენი ერთობლივი მუშაობით, ხელოვნების ცენტრის თანადგომით და მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით მივაღწევთ წარმატებებს და ვასახელებთ ჩვენს რაიონს"- ამბობს გოგონათა ვოკალური ანსამბლის ხელმძღვანელი, გრიალა სამინავა.

კონკურსი ჩატარდა საქართველოს საგუნდო საზოგადოების ორგანიზებით, საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით.

რედაქციის სახელით ვულოცავთ უმაღლეს ჯილდოს, ოქროს მედალს სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრს, ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლის გოგონათა ვოკალურ ანსამბლს და ანსამბლის პედაგოგებს.ვუსურვებთ მორიგ წარმატებას.

სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლა მომავალშიც ღირსეულ სიტყვას იტყვის საგუნდო ხელოვნების განვითარებაში, ხელოვნების დარგისა, სადაც მუსიკა და სიტყვა ერთმანეთთან არის შერწყმული.

მ. ეჯიბია

შეავსეთ წიგნის თარო



გამოვიდა ქეთევან ლატარიას წიგნი ,,80-90-იანი წლების სენაკის სისხლიანი ქრონიკა" - გამომცემლობა შპს „ხომლი-ენ“, ტირაჟი 1000 ეგზემპლარი.

წიგნის სპონსორი და მეცენატი გახლავთ აპოლონ-(გიგა) გარუჩავა, რედაქტორი, მწერალთა კავშირის წევრი და ნიკო ნიკოლაძის პრემიის ლაურეატი ლანდა მასხულია.

30 წელი ელოდა აღნიშნული წიგნი-მატიანე სპონსორს, რომ არა აპოლონ(გიგა) გარუჩავა, ჩვენი თანაქალაქელის, აწ. განსვენებული ქეთევან ლატარიას რუდუნებით შექმნილი ეს ნაშრომი ვერ იხილავდა დღის სინათლეს. გიგა პროფესიით ეკონომისტი გახლავთ, გამორჩეული დადებითი თვისებებით, გულწრფელი, ვაჟკაცური, სამშობლოზე მოფიქრალი, სპეტაკი სულის მატარებელი, ჩვენი მუნიციპალიტეტის მკვიდრის, უკეთილშობილესი, უანგაროდ სიკეთის მთესველი პიროვნების, აწ განსვენებული რეზო გარუჩავას ვაჟია.

წიგნში ფართოდ და მკაფიოდ არის გაშუქებული ეროვნულად მოაზროვნე ადამიანების ავტობიოგრაფიები ფოტოსურათების დართვით, რაც ნათელ წარმოდგენას უქმნის მკითხველს მათზე.

უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ აპოლონ(გიგა) გარუჩავა წიგნის მარტო დაფინანსებით არ შემოიფარგლა, მან გადაწყვიტა აღნიშნული გამოცემა უსასყიდლოდ დაერიგებინა მოქალაქეებისათვის, ასევე საჩუქრად გადასცა მუნიციპალიტეტის საჯარო, ბავშვთა და მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლების ბიბლიოთეკებს.

უდაოდ დასაფასებელია ასეთი ქველმოქმედება, ამიტომ ცხოვრებაში წინსვლას და წარმატებებს ვუსურვებ.

ბიჭიკო თუნთია,
ეროვნული გვარდიის
თადარიგის კაპიტანი

ხსოვნა

ზურიკო ხოფერია

დიდია ჩვენი მწუხარება ბატონი ზურიკო ხოფერიას გარდაცვალების გამო. წავიდა ამ ქვეყნიდან გამორჩეული, ვალმოხდილი, პირნათელი და სიკეთით სავსე ადამიანი.

ბატონი ზურიკო მრავალი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა საგანმანათლებლო სისტემას (იყო ახალსოფლის სკოლის დირექტორი), რომელმაც თავისი საქმით, პროფესიონალიზმით, ადამიანური ღირსებით, წარუშლელი კვალი დატოვა თითოეული თანამშრომლის და მოზარდი თაობის გულში. შეუფასებელია მისი ღვაწლი მოსწავლე-ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში.

თაობების აღმზრდელი, სტუმართმოყვარე, ქართული სულითა და ზნეობით გაჯერებული პიროვნება საზოგადოებაში ავტორიტეტით სარგებლობდა. თითოეული აღსაზრდელის და თანამშრომლის მწუხარება თუ სიხარული გულთან ახლოს მიჰქონდა.

პრინციპულობა მის პიროვნებაში ყოველთვის ერწყმოდა სიკეთის, მოყვასისადმი თანაგრძნობის უნარს, უანგარობას. უაღრესად თბილი, გულისხმიერი, თავისი საქმის პროფესიონალი გახლდათ. ბოლომდე უღალატოდ ემსახურა იმ დიდ საქმეს, რომელსაც მომავალი თაობის აღზრდა ჰქვია.

ახალსოფლის საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ზურიკო ხოფერიას გარდაცვალების გამო, უთანაგრძნობს გარდაცვლილის ოჯახს, მეგობრებს, კოლეგებს და ქალაქის საგანმანათლებლო საზოგადოებას.

გვწამს და გვჯერა, რომ დიდებული ადამიანები უკვალოდ არ იკარგებიან.

ახალსოფლის საჯარო
სკოლის პედკოლექტივი

სარედაქციო ჯოლეგია
მთავარი რედაქტორი ნინო სართანია
რედაქტორი მედეა ბაღათურია
ჯორესპონდენტები: მაია გერგაია, გიორგი გარუჩავა
ეკონომიკური სამსახურის სპეციალისტი ჟულიეტა ჩაჩიბაია

რედაქციის მისამართი:
სენაკი, ჭავჭავაძის ქ. №103, ტელ: 276150
რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით, არ გამოხატავს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ინტერესებს.
ინდექსი 66529

რეგისტრირებულია სენაკის სასამართლოში
რეგისტრაციის №56/7-17
გაზეთი კომპიუტერზე აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა შპს „ხომლი ენ“
ქ. ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 33